ლენტეხის მუნიციპალიტეტი

სოფელ ჟახუნდერის ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობისა და გზის მოხრეშვის სამუშაოების გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის **3**

2. ტექნიკური დოკუმენტაცია..... **7**

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი **11**

4. დანართი **N1**..... .... **15**

5. დანართი **N2,**..... .... **15**

6. დანართი **N3 ,**..... .... **16**

7. დანართი **N4 ,**..... .... **16**

8. დანართი **N5 ,**..... .... **17**

9. დანართი **N6 ,**..... .... **18**

1. *ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის*

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანების ”გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” შესაბამისად.

1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი N1.

1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%– ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე .

1.6 ამ ინსტრუქციის **1.5** პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7 ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს.

1.8 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით .

1.12 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით .

1.14 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადები ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატედერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.21 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს **5** სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულე ბას.

1.22 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:
ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას.
ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;
გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;
ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.23 ამ ინსტრუქციის **1.22** ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტ ნდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე -2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდე გ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან /და ხარვეზის მქონე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

1.25 იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის **1.24** პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:
ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი, თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრედენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.
ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.28 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.30 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31. პრედენდენტს, არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

გ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადოდან დავალიანების არ არსებობის შესახებ;

2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

2.1.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა დანართი N 1 – ის მიხედვით.

ბ) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ დანართი N 2-ის მიხედვით .

გ) პრეტენდენტის ერთობლივი შემოსავალი ბოლო სამი წლის (2008, 2009, 2010 და მიმდინარე წელი) განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 300.000 ლარს. აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი ბოლო სამი კალენდარული წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის ასლები. (ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დანართი #3-ის შესაბამისად)

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ პრეტენდენტებზე, სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში არ ხორციელდება პრეტენდენტის და სუბკონტრაქტორის კვალიფიკაციის მთლიანი და ნაწილობრივი დაჯამება.

პრეტენდენტს ბოლო სამი წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ერთი მსგავსი ანალოგიური მოცულობის სამუშაო, რომლის საკონტრაქტო ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 100.000 ლარისა. აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ, დამკვეთისა და სახელშეკრულებო ღირებულების მითითებით

(ხელშეკრულების ასლი და დასრულებულ სამუშაოთა შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები).

დ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძიღითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე და რომელიც იღებს ტექნიკურ გადაწყვეტილებას) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; დანართი # 4-ის შესაბამისად.

ე) ფასების ცხრილი დანართი N5-ის მიხედვით.

ვ) ინფორმაცია დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.

2.1. 4. სამუშაოთა დეტალური ნახაზები თანდართულია დანართი # 6;

2.1. 5. შესყიდვის ობიექტი და განსახორციელებელი სამუშაოების მოკლე აღწერა;

სოფ. ჟახუნდერის ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა და გზის მოხრეშვა;

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ჟახუნდერში. ტერიტორიაზე მისვლა შეიძლება ქუთაისი-ცაგერი-ლენტეხის საავტომობილო გზით. სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს მიწის დამუშავებას ხელის იარაღებით, ბეტონის არხის მოწყობას, დ-800 მმ-იანი ლითონის მილების მონტაჟს მიმღები კოლექტორით და სასოფლო გზის ტეაბილიტაციას.

ძირითადი სამშენებლო სამუშაო დავალებებია:

სამუშაო დავალება

№	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	III კატ. რუნტის დამუშავება ხელის იარაღებით ბეტონის ნიაღვარგამტარი არხის მოწყობის მიზნით 98*1,3*0,7	მ3	89,20		
2	ბეტონის არხის მოწყობა1) (0,6*0,1+1,0*0,1+0,6*0,1)*86 2)3*0,2*1	მ3	19,60		
	ფიცარი სისქით 4 სმ	მ3	3,36		
	ლურსმანი	კგ	7,00		
3	რკ/ბეტონის გადასასვლელების მოწყობა 26*0,15*1; ა-I დ-14 მმ	მ3	3,90		
	ა-I დ-14 მმ-იანი არმატურის ღირებულება	გრძ/მ	364,00		
	ფიცარი სისქით 4 სმ	მ3	1,04		
	ლურსმანი	კგ	2,00		
4	ბეტონის კოლექტორის მოწყობა (3+3+3+3)*1,5*0,25	მ3	4,50		
	კოლექტორის ბეტონის იატაკი მოწყობა 3*3*0,15	მ3	1,35		

	ფიცარი სისქით 4 სმ	მ3	1,50		
	ლურსმანი	კგ	3,00		
5	დ-800 მმ-იანი, 5 მმ სისქის ფოლადის მილის მონტაჟი	ტ	4,04		
	დ-800 მმ-იანი, 5 მმ სისქის ფოლადის მილის ღირებულება	გრძ/მ	40,00		
5	გზის მოხრეშვა-მოშანდაკება 90*0,3*4	მ3	108,00		

2.1.6 სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო ტექნიკისა და მანქანა დანადგარების ჩამონათვალი;

1	თვითმცლელი 10 ტონა ტვირთამწეობით	1 ც	მასალის საზიდად
3	ბეტონმრევი 0.5 კუბ.მ. ტევადობის	1	ბეტონის მოსარევად

2.2 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:

ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში ”გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე -2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ;

ბ) ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – ”გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე -2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ;

2.3 ამ პუნქტის 2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე .

2.4 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ

საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.5 პრედენდენტის მიერ წარმოსადგენი ამ პუნქტის **2.1.3 ა, ბ, გ, დ, ე** ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ელექტრონული ვაჭრობის დაწყებამდე.

2.6 ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, **იმ გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად, ხელშეკრულება დაიდება დღგ-ს გამოკლებით.**

2.6.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

2.6.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.6.4 საავანსო ანგარიშსწორება გამოიყენება 30 %-ის ოდენობით საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის პირობებში.

2.7 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

2.7.1 ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2% – ის ოდენობით.

2.7.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული ღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

2.9 მიწოდების პირობები და ვადები:

2.9.1 სამუშაოების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 35 დღის განმავლობაში , მიწოდების ადგილია ლენტეხი, სოფელი ჟახუნდერი;

2.10. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი N 5 – ის მიხედვით.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №

ლენტეხი 2011 წ.

ერთის მხრივ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ვალოდია ქურასბედიანის სახით და მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, (№ SPA ----------)გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი,“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 **სოფ. ჟახუნდერის ბეტონიეს სანიაღვრე არხის მოწყობა და გზის მოხრეშვა;**

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის, აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

3. ხელშეკრულების ღირებულება და ფასები

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით

გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. სამუშაოების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. სამუშაოების მიწოდება მოხდება ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე.
6.2. სამუშაოების მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების დადებიდან 35 დღის განმავლობაში.
6.3. ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს _ წელს

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
ბ) სამუშაოების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) მიაწოდოს სამუშაოები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში.
გ) უზრუნველყოს სამუშაოების მიწოდება ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნიკური პარამეტრების დადგენილი პრინციპების დაცვით.

8. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

8.1. ხელშეკრულების შესრულების უზუნველყოფის გარანტია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, რომლის ვადა 30 დღით აღემატება ხელშეკრულების 6.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადას.
8.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყონებლივ დაბრუნება.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სტანდარტები

10.1. ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პარამეტრებში მითითებულ სტანდარტებს.

.

11. პირგასამტეხლო ხეშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შესმსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 12.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთებიშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ვალოდია ქურასბედიანი	
---	---
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ლენტეხის ფილიალი კოდი: 220101486 ა/ნ № GE95LB0120114216701000 ს/კოდი: 243065560 მის. დ. ლენტეხი, თამარ მეფის ქ. № 24	

დანართი #1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:

4. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:

(სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე).

დანართი # 2

ინფორმაცია მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესახებ

#	მანქანა მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მარკა, ტიპი, მოდელი და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი მოძველებული)	საკუთრება, მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა,

შენიშვნა: მანქანა–მექანიზმების დაქირავების შემთხვევაში ატვირთეთ ხელშეკრულება მექანიზმების დაქირავებაზე, საკუთარი მექანიზმების შემთხვევაში მექანიზმის ტექნიკური პასპორტი

დანართი # 3

#	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელსეკრულების ღირებულება	წარმოდგენილი იქნას ხელსეკრულებების ასლები და ფაქტიურად შესრულე-ბული სამუშაოების ღირ-ბა

დანართი N 4

#	თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით)

დანართი # 5

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა №

№	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდენ ობა
1	2	3	4
1	III კატ. რუნტის დამუშავება ხელის იარაღებით ბეტონის ნიაღვარგამტარი არხის მოწყობის ნიზნით მოწყობის მიზნით 98*1,3*0,7	მ3	89,20
2	ბეტონის არხის მოწყობა1) (0,6*0,1+1,0*0,1+0,6*0,1)*86 2)3*0,2*1	მ3	19,60
	ფიცარი სისქით 4 სმ	მ3	3,36
	ლურსმანი	კგ	7,00
3	რკ/ბეტონის გადასასვლელების მოწყობა 26*0,15*1; ა-I დ-14 მმ	მ3	3,90
	ა-I დ-14 მმ-იანი არმატურის ღირებულება	გრძ/მ	364,00
	ფიცარი სისქით 4 სმ	მ3	1,04
	ლურსმანი	კგ	2,00
4	ბეტონის კოლექტორის მოწყობა (3+3+3+3)*1,5*0,25	მ3	4,50
	კოლექტორის ბეტონის იატაკი მოწყობა 3*3*0,15	მ3	1,35
	ფიცარი სისქით 4 სმ	მ3	1,50
	ლურსმანი	კგ	3,00
5	დ-800 მმ-იანი, 5 მმ სისქის ფოლადის მილის მონტაჟი	ტ	4,04
	დ-800 მმ-იანი, 5 მმ სისქის ფოლადის მილის ღირებულება	გრძ/მ	40,00
5	გზის მოხრეშვა-მოშანდაკება 90*0,3*4	მ3	108,00
	ჯ ა მ ი		
	სატრანსპორტო ხარჯები		
	ჯა მ ი		
	ზედნ. ხარჯები		
	ჯ ა მ ი		
	გეგმიური დაგროვება		
	ჯ ა მ ი		
	დ. ღ. გ.		
	ს უ ლ ჯ ა მ ი		

დანართი№6



მიმდები ძოლამტლები

მეხრეწლ:



/ნ. ზვიდლიანი/

ჟახუნდრის სანიაღვრე არხი

ჭრილი



ლ=86 მ.

არხის გადახურვა



არმატურა დ=14 ბიჯი 140მმ.

მიმღები კოლექტორი

შეასრულა: /ნ. ტვილდიანი/